



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### "ერობა"

"ერობა", ორკვირეული ჟურნალი, ერობათა კავშირის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1920-21. გამოვიდა 16 ნომერი. თითოეული მათგანი შედგებოდა 28-32 გვერდისაგან. ჟურნალში იბეჭდებოდა სტატიები აგრონ., ვეტ., სამედ., სასკოლო სტატისტიკ., ეკონ. და ერობის საკითხებზე ("საერობო თვითმმართველობის კანონპროექტი" და ცალკეულ სამაზრო ერობათა ანგარიშები). მისი მიზანი იყო ერობის საქმიანობის პრაქტიკა. საკითხების გაშუქება მთავრობის თვალსაზრისით. `ე-ის~ პირველი ორი ნომერი გამოსცა სარედაქციო კოლეგიამ, შემდეგ რედაქტორები იყვნენ გ. ლორთქიფანიძე და პ. საყვარელიძე.

*ი. ლორთქიფანიძე.*

---